ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7401519

ნომერი: AR11079647

თარიღი : 26.02.2025

გაცემის თარიღი : 06.03.2025

გაცნობის თარიღი : 06.03.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , N 13;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვერიკო ბაბუციძე პ/ნ 59004005792
- გორი ს. აჩაბეთი

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 18 დეკემბრის №7324574 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 26 თებერვალს №AR11079647 განცხადებით მომართა ვერიკო ბაბუციძემ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 18

დეკემბრის №7324574 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 18 დეკემბრის №7324574 ბრძანებით №01.17.12.003.266 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სახლი №14) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2024 წლის 18 დეკემბრიდან 2025 წლის 18 დეკემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2024 წლის 18 დეკემბრის №7324574 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირდეს ღია ავტოსადგომების ფართობი 307.2 კვ.მ.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 18 დეკემბრის №7324574 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო ტერიტორიის გენერალურ გეგმაზე დატანილია სახლი №14-თვის გათვალისწინებული 21 ღია ავტოსადგომი. ამასთან, 14 ღია ავტოსადგომი გათვალისწინებულია №01.17.12.003.266 საკადასტრო ერთეულზე, 4 ღია ავტოსადგომი №01.17.12.003.265 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ხოლო 3 ღია ავტოსადგომი №01.17.12.003.258 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე. ღია ავტოსადგომების საერთო ფართობი შეადგენს 307.2 კვ.მ-ს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2024 წლის 18 დეკემბრის №7324574 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 18 დეკემბრის №7324574 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირდეს ღია ავტოსადგომების ფართობი 307.2 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 18 დეკემბრის №7324574 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 18 დეკემბრის №7324574 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.